

საქართველოს რეგიონული ბანკითარებისა და  
ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო  
დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების  
დეპარტამენტი

და

სს „კავკასავტომაგისტრალი“

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე.ტ.№116-19

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის  
მონასტრის საავტომობილო გზის კმ 36 - კმ 49 უდაბნო-გარეჯის მონასტრის  
მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ელექტრონული ტენდერი აუქციონის ბარეში (NAT190005200)

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**ე.ტ. №116-19**

ქ. თბილისი

14 ივნისი, 2019 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, სს „კავკასავტომავისტრალი“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინე მარშანიას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი)

მის. : საქართველო, საგარეჯოს რაიონი, ხაშმის გადასახვევი, თბილისი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 36-ე კილომეტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 238109202

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE93BG0000000330421100

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT190005200) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

**მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ 36 - კმ 49 უდაბნო-გარეჯის მონასტრის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (შემდგომში - სამუშაო).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45233142 - გზის შეკეთების სამუშაოები.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება**

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **6 079 673.94 (ექვსი მილიონ სამოცდაცხრამეტი ათას ექვსას სამოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათოთხმეტი თეთრი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

